



სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდასვლის აკადემია

2018 წლის 28 თებერვლიდან 9 მარტის ჩათვლით ჩატარდა სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდასვლის აკადემიის იმ აკადემიური და მოწვეული პერსონალის/ ინსტრუქტორთა/სამოქალაქო პირების კმაყოფილების კვლევა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში.

სამეთაურო-სამტაბო კოლეჯი- 3 რესპოდენტი.

მიმართულება- 6 რესპოდენტი.

ბაკალავრიატი- 3 რესპოდენტი.

სასწავლო ბატალიონი- 5 რესპოდენტი.

ენობრივი მომზადების სკოლა- 8 რესპოდენტი.

ბაკალავრიატი-ენობრივი მომზადების განყოფილება- 3 რესპოდენტი.

ეროვნული თავდასვლის აკადემია აქტიურად თანამშრომლობს საზღვარგარეთის სხვადასხვა წარმატებულ სასწავლებელთან და ამ თანამშრომლობის ფარგლებში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის/ინსტრუქტორების განვითარების მიზნით ახორციელებს გარკვეულ ღონისძიებებს. ხდება გარკვეული ჯგუფების მიზნობრივი გაგზავნა საზღვარგარეთ, რათა ცოდნით და გამოცდილებით აღჭურვილებმა შეძლონ თავიანთი ფუნქციონალური მოვალეობის ეფექტურად შესრულება.

გამოკითხულ რესპოდენტთა სრული შემადგენლობა ჯამში 28 რესპოდენტი თვლის, რომ პროგრამები, რომლებზედაც მოხდა მათი წარგზავნა თითოეული მათგანისთვის პროგრამების და სასწავლო კურსების განსხვავებულობის მიუხედავად „სასარგებლო“ იყო.

გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზეზებთან დაკავშირებით გამოიკვეთა, რომ :

№	კრიტერიუმები	ბაკალავრიატი	ბატალიონი	სამეთაურო-სამტაბო	მიმართულება	ენობრივი მომზ.სკ.	ენობრივი მომზ.განყ.
1.	ვაკმაყოფილებდი შესარჩევ კრიტ.	20%	50%	33%	40%	33%	40%
2.	სურვ.მქონდა მიმელო ცოდნა/გამოცდ.	20%	50%	33%	30%	50%	30%
3.	გამომადგება კარიერულ განვით.	60%		33%	20%	17%	20%
4.	სხვა				10%		10%

უმაღლესი 5 ქულიდან პროგრამაზე **გამშვები მხარე** მოცემულ კრიტერიუმებში შეფასდა შემდეგნაირად:

№	კრიტერიუმები	ბაკალავრიატი	ბატალიონი	სამეთაურო-სამტაბო	მიმართულება	ენობრივი მომზ.სკ.	ენობრივი მომზ.განყ.
1.	პროგრამის შესახებ ინფორმირება	5/100%	3/20%; 5/80%	3/33%; 4/67%	4/33%; 5/67%	4/25%; 5/75%	5/100%
2.	შერჩ.ობიექტ./გამჭვ.კრიტ.	5/100%	4/33%; 5/67%	4/5/50%	5/100%	4/13%; 5/88%	5/100%
3.	ტრანსპორტირება	5/100%	3/25%; 5/75%	1/3/4-33%	3/17%; 5/83%	3/25%; 5/75%	5/100%
4.	სხვა საჭ.ლონისძ.	4/5/50%	4/25%; 5/75%	1/4/5-33%	2/33%; 3/4/17%;	2/13%;4/50%; 5/38%	5/100%

					5/33%		
--	--	--	--	--	-------	--	--

უმაღლესი 5 ქულიდან პროგრამაზე მიმღები მხარე მოცემულ კრიტერიუმებში შეფასდა შემდეგნაირად:

№	კრიტერიუმები	ბაკალავრიატი	ბატალიონი	სამეთაურო-საშტაბო	მიმართულება	ენობრივი მომზ.სკ.	ენობრივი მომზ.განყ.
1.	ტრანსპორტირება	4/5-50%	5/100%	4/100%	5/100%	5/100%	5/100%
2.	საცხ.პირობები	4/100%	5/100%	4/33%, 5/67%;	4/33%; 5/67%	5/100%	5/100%
3.	პროგრამის შესახებ ინფორმირება	5/100%	5/100%	4/67%, 5/33%;	5/100%	2/13%; 5/88%	5/100%
4.	პროგრამის ორგანიზებულობა	5/100%	4/25%; 5/75%	4/67%, 5/33%;	5/100%	1/13%;4/13%; 5/75%	5/100%

უმაღლესი 10 ქულიდან თუ რამდენად გაამართლა პროგრამამ/კურსმა მათი მოლოდინები:

№	კრიტერიუმები	ბაკალავრიატი	ბატალიონი	სამეთაურო-საშტაბო	მიმართულება	ენობრივი მომზ.სკ.	ენობრივი მომზ.განყ.
1.	1,2,3,4,5,6,7,8,9,10	8/67%; 10/33%;	7,8,9-20%; 10/40%	7,8,10-33%	8/17%; 10/83%;	9/25%; 10/75%	9/33%; 10/67%;

წარმდგენი მხარის (ტრენერის, ფასილიტატორის) სათანადოდ მომზადებასთან დაკავშირებით ინფორმაცია:

№	კრიტერიუმები	ბაკალავრიატი	ბატალიონი	სამეთაურო-საშტაბო	მიმართულება	ენობრივი მომზ.სკ.	ენობრივი მომზ.განყ.
1.	კი	100%;	100%;	100%;	100%;	100%;	100%;
2.	არა						
3.	ნაწილობრივ						

რესპოდენტებმა გამოკითხვაში დააფიქსირეს 2 რამ რაც მოეწონათ:

მოსაწონი:

- ✓ ორგანიზება;
- ✓ მომხსენებლები იყვნენ კვალიფიციური ექსპერტები და თემატიკაც ისე იყო შერჩეული რომ პასუხობდა თანამედროვე გამოწვევებს;
- ✓ ახალი სწავლებების დაგეგმვის პროცედურების შესწავლა და მათი აღსრულება.
- ✓ ჯგუფური მუშაობა და ინსტრუქტორების ჩართულობა ;
- ✓ სასწავლო მასალა; მასწავლებლის მომზადების დონე;
- ✓ ყოველი მეცადინეობის მერე პრაქტიკული დავალებები გვიმყარებდა ცოდნას;
- ✓ საინტერესო თემატიკა და პრაქტიკული რეალიზების საშუალება;
- ✓ ლექციების მაღალი დონე განსაკუთრებით სამხედრო სფეროში;
- ✓ მხარდაჭერა ეთა-ს მხრიდან, მიმღები მხარის ორგანიზებულობა;
- ✓ სასწავლებლის ენობრივი მომზადების მიმართულება კარგად იყო მომზადებული, მათ მიერ ჩატარებული პრეზენტაციები იყო დეტალური და გასაგები;
- ✓ აქვთ კარგი შეფასების სისტემა და სტრუქტურა;
- ✓ აკადემიაში სასწავლებლად აბიტურიენტებს მოეთხოვებათ ენის გარკვეული კომპეტენცია;

- ✓ ლიტვის სამხედრო აკადემიაში აბიტურიენტს მიღებისას მოეთხოვება ინგლისური ენის დონე (მინიმალური) A2(STANAG 1), რაც დადებითად ისახება მის სწავლის შედეგებზე;
- ✓ STANAG 2 - დონის ჩასაბარებლად მათ აქვთ საკმარისი დროის პერიოდი (ვადა) თუმცა ჩაუბარებლობის შემთხვევაში არანაირი სანქცია არ არის;
- ✓ ძილის პრობლემა ფაქტიურად არ აქვთ;
- ✓ ტრენერების მსმენელებისადმი ინდივიდუალური მიდგომა;
- ✓ მთლიანად გარემო, დამხვედრი მხარის დამოკიდებულება თითოეული ჩასულის მიმართ;
- ✓ შესანიშნავი საყოფაცხოვრებო პირობები;
- ✓ მატერიალურ-ტექნიკური მხარე, რომელიც სწავლების ხარისხს საგრძნობლად ზრდიდა;

რესპოდენტებმა გამოკითხვაში დააფიქსირეს 1 რამ რაც ნაკლებად მოეწონათ:

ნაკლებად მოსაწონი:

- მცირე საკლასო ოთახები;
- დრო იყო მცირე და სწრაფად გავიარეთ კურსი;
- ჯგუფს შევუერთდი დიდი დაგვიანებით;
- სასწავლებლის ზოგიერთმა წამყვანმა პირმა არ იცოდა ჩვენი შეხვედრის შესახებ (მიზანი);
- გასვლითი ტურების მომზადება;

გამოთქვეს სამომავლო სურვილები:

- ✓ კურსის შესახებ მეტი და დეტალური ინფორმაცია მიეწოდოს კურსზე წამსვლელმა მომავალმა კანდიდატმა;
- ✓ მიღებული ცოდნის შემდგომი კარიერული ზრდისთვის გამოყენებაში ხელშეწყობა;
- ✓ დროული დაფინანსება;
- ✓ ჩვენს ქვეყანაშიც იყოს იგივე მატერიალურ-ტექნიკური გამართულობა;
- ✓ ჩვენთანაც იგივე პირობებს;
- ✓ მსგავს კონფერენციებში მონაწილეობა;
- ✓ სხვადასხვა სახის კონფერენციებში, სამეცნიერო საფეხურებში მონაწილეობის შესაძლებლობის გაზრდა;
- ✓ აღნიშნულ კურსს გააჩნია მეორე დონის კურსი რომელზეც დასწრება იქნება ძალიან სასარგებლო;
- ✓ მეტი შესაძლებლობები საზღვარგარეთ ენის სწავლების კურსებზე, მეტი ოფიცრების გაგზავნა;
- ✓ საზღვარგარეთ მიმდინარე კურსებზე დასწრების ინტენსივობის გაზრდა;
- ✓ მსგავს პროგრამაში უფრო დიდი ხნით მონაწილეობა, მეტი პრაქტიკული ჩართულობით;
- ✓ ენობრივი მომზადების სკოლაში ჩატარდება STANAG2-3 დონის კურსი;
- ✓ უფრო მეტ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა;
- ✓ ყველა თანამშრომელს მიეცეს აღნიშნულ სემინარში მონაწილეობის საშუალება;

- ✓ მეტი კომუნიკაცია ჩვენს უცხოელ კოლეგებთან. ურთიერთობების გაღრმავება და გამოცდილების გაზიარება. რაც მეტი სასარგებლო კურსი იქნება, მით უკეთ აისახება ჩვენს მუშაობაზე;
- ✓ ინგლისური ენის პროგრამის ყველა პედაგოგს მიეცეს შესაძლებლობა გაიაროს ეს ტრენინგი-კურსი;
- ✓ გაგრძელდეს ამგვარი თანამშრომლობა და მოხდეს ეთა-ს რუსული ენის კურსის პოტენციალის სრულად გამოყენება;
- ✓ აღნიშნულ სწავლებაზე მონაწილეობა კიდევ მივიღოთ, რომ უფრო კარგად ავითვისოთ სწავლების დაგეგმვის ახალი მეთოდი;
- ✓ კიდევ მიმეღო მონაწილეობა კურსზე, რომ უფრო მეტი პრაქტიკული გამოცდილება მივიღო.
- ✓ კაპიტნის საკარიერო კურსების გავლა უცხო ქვეყანაში;
- ✓ ინგლისური ენის კურსზე წასვლას და შემდეგ უცხოეთში რომელიმე კურსის გავლას, რომელი კურსიც დამეხმარება პროფესიული ცოდნის ამაღლებაში;
- ✓ ინგლისური ენის სწავლას უფრო ღრმად;

პროგრამაში მონაწილეობისას გამოკვეთილი ბარიერი:

ჯამში 22 კომენტარიდან 10-ში აცხადებენ, რომ არანაირ ბარიერს არ წაწყდომიან პროგრამაში მონაწილეობისას „ყველაფერი უაღრესად საინტერესოდ და დაბრკოლებების გარეშე წარიმართა“;

- ✓ ფასილიტატორი ქვეყნის მიერ წინასწარ მოწოდებული ინფორმაციით მსმენელთა საწყისი მომზადების დონე არ შეესაბამებოდა (იყო გაცილებით დაბალი) რეალურად არსებულ დონესთან;
- ✓ კომუნიკაციის გაუმართაობა;
- ✓ დაფინანსება;
- ✓ ძირითადი ბარიერი იყო ბევრი ბრიფინგების მომზადება, მაგრამ რამოდენიმე დღეში დავძლიეთ (ინგლისურ ენაზე);
- ✓ დროის სიმცირე. მსგავს შეხვედრას მინიმუმ 2 დღით მეტი სჭირდებოდა;
- ✓ ჯგუფში იყვნენ ისეთი წევრები, ვინც არც ინგლისური იცოდა არც რუსული და ზოგჯერ ჟესტებით მიწევდა რაიმეს ახსნა;
- ✓ ლიტვაში ჩასვლიდან თითქმის ერთი თვე მიჭირდა ინგლისურად საუბარი და კონტაქტი როგორც მასწავლებლებთან, ასევე თანაკურსელებთან;
- ✓ ყველაზე დიდი ბარიერი იყო ჩემთვის ინგლისური ენის არცოდნა;
- ✓ სალაპარაკო ენის ბარიერი;
- ✓ ვიყენებ დისტანციური პლატფორმის ადმინისტრირებისას და ინგლისური ენის დისტანციური კურსის შექმნისას;

ჯამში დაფიქსირდა 26 კომენტარი .

რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ მიღებულ ცოდნას/გამოცდილებას პროფესიულ/კარიერულ განვითარებაში გამოიყენებენ შემდეგნაირად:

- ✓ მიღებული ცოდნა გავლენას იქონიებს ჩემს მიერ სტრატეგიის სწავლების პროცესზე გამოვიყენებ მომხსენებლების კვლევებს სასაწავლო მასალაში;
- ✓ ნებისმიერი მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში უდაოდ არის ნაბიჯი კარიერულ განვითარებაში;
- ✓ ჩემს გამოცდილებას და ცოდნას კიდევ უფრო გავაუმჯობესებ მსგავსი კურსების გავლით და გადავცემ მომავალ აღსაზრდელ სამხედრო მოსამსახურეებს როგორც თეორიით ისევე პრაქტიკით;
- ✓ ქართული არსებულ ვითარებასთან სასარგებლო გამოცდილების შერწყმა/შეთავსებით;
- ✓ ესეთ კვირეულებში მონაწილეობის მიღება ოფიცრებს და იუნკერებს ეხმარება სწორი ანალიზის გაკეთებაში თუ სწავლებების კუთხით ორგანიზებაში თუნდაც ეტიკეტის მხრივ რა მდგომარეობაში ვართ და ვცდილობთ გამოვასწოროთ ან აღმოვფხვრათ ჩამორჩენა;
- ✓ დაქვემდებარებულ პირად შემადგენლობას ვუზიარებ იქ მიღებულ გამოცდილებას;
- ✓ ვეცდები გამოვიყენო, როგორც საქართველოს შიგნით, ასევე სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის დროს, თუ მომეცემა საშუალება;
- ✓ გამოვიყენებ, უნგრეთში კიდევ ერთხელ მივიღე პრაქტიკა, გამოცდილება თუ როგორ წარვმართოთ საქმიანი შეხვედრის ფარგლებში საკუთარი ქვეყნის სამსახურის წარმოდგენა და ინტერესის დაცვა;
- ✓ მიღებულ ცოდნას გამოვიყენებ ყოველდღიურ საქმიანობაში შეძენილი გამოცდილების გაზიარებით და მიღებული უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გატარებით;
- ✓ მტკიცე მხარდაჭერის მისიაში მონაწილეთათვის ინსტრუქციაში აქტიურად და უფრო ეფექტურად ჩავრთავთ თარგმნის ტექნიკის პრონციპებს;
- ✓ მტკიცე მხარდაჭერის მისიაში მონაწილეთათვის ინსტრუქციაში აქტიურად და უფრო ეფექტურად ჩავრთავთ თარგმნის ტექნიკის პრინციპებს;
- ✓ რა თქმა უნდა! დღემდე აქტიურად ვიყენებ. ლექსიკური მასალა, აქტივობები, სხვადასხვა ვიზუალურ-აუთენტური სახის პოსტერები თუ ჩანაწერები ყოველდღიურად გამოვიყენებდითა ჯგუფთან მუშაობისას;
- ✓ მიღებულ ცოდნას აუცილებლად გამოვიყენებ. 1. ტესტირების დაგეგმვა-ჩატარება; 2. ტესტის შედგენა - შეფასებაში ;
- ✓ მიღებულ ცოდნას აუცილებლად გამოვიყენებ პროფესიულ განვითარებაში. სწავლების პროცესში გამოვიყენებ კომუნიკაციურ მეთოდს. განსაკუთრებით ახალი მასალის პრეზენტაციის და გაკვეთილის ბოლო საფეხურის -აპლიკაციის დროს;
- ✓ აუცილებლად გამოვიყენებ, თუ ამის შესაძლებლობა კვლავ მომეცემა;
- ✓ როგორც კი სამხედრო ფრანგულის კურსი მეყოლება ამ ტრენინგით მიღებული ცოდნა უდაოდ გამომადგება;

- ✓ ყოველი ვიზიტი პროდუქტიულია თავისთავად, ამ ვიზიტის შედეგები ყოველდღიურ მეცადინეობებზე გამოყენებადია.
- ✓ გამოვიყენებ მათ მიერ შემოთავაზებულ საიტებს, ინტერნეტ რესურსებს გავამდიდრებ;
- ✓ აუცილებლად გამოვიყენებთ, რაც კანადური მხარის მიერ იქნა მოწოდებული ის სახელმძღვანელო ამჟამად ითარგმნება და ვაპირებ აღნიშნული სწავლების მეთოდები გადავცე ჩემს ინსტრუქტორებს, რომ გამოიყენონ იუნკერებთან მეცადინეობების ატარების და დაგეგმვის დროს;
- ✓ როგორც ზემოთ ავღნიშნე კურსზე გავიარეთ ყველა ის ძირითადი საფეხურები, რომლებიც უნდა გაიაროს სწავლების დაგეგმვის ოფიცერმა „ეთა“-ში ყველა საფეხურს ;
- ✓ უკვე გამოვიყენე მე-12 ბატალიონში მოღვაწეობის დროს და შემდეგშიც გამოვიყენებ, როგორც ადგილზე საქართველოში საერთაშორისო ღონისძიებებზე, ასევე უცხოეთში მსგავს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობით;
- ✓ ვინაიდან ეს იყო საერთაშორისო კვირეული არანაირი პროფესიული ცოდნა არ მიმიღია;
- ✓ რა თქმა უნდა, როდესაც მომიწევს მეცადინეობის მომზადება და ჩატარება
- ✓ სურვილი მაქვს გავიღრმავო პროფესიული ცოდნა რომელიმე დასავლურ სამხედრო სასწავლებელში;
- ✓ გამოვიყენებ ინგლისური მასალის თარგმნაში და ინგლისურენოვან ინსტრუქტორებთან ურთიერთობაში;
- ✓ კი .

დამატებით კომენტარებში აღნიშნავენ , რომ აუცილებელი და უდაოდ ღირებულია აღნიშნული ტიპის გაცვლით პროგრამებში/კონფერენციებში მონაწილეობა, ერთ-ერთი მათგანი მაძლიერებს გამოხატავს აკადემიის მისამართით ამ შესაძლებლობისთვის.

- ✓ საჭირო და აუცილებელია მოკლევადიანი კურსები და ღონისძიებები კონტაქტების დასამყარებლად ;
- ✓ საზღვარგარეთ მივლინებების სიხშირე გამოცდილების მიღების მიზნით , რათა ინოვაციების დანერგვას შეუწყონ ხელი.
- ✓ აუცილებელია სწავლების დაგეგმვის და აღსრულების პროცესის კურსის შექმნა და ფართო მასშტაბიანი სწავლებების დაგეგმვა(გრძელვადიანი) ადრეული გათვლებით; რაც შეიძლება მეტ ინსტრუქტორს მიეცეს საზღვარგარეთ მივლინებებში წასვლის საშუალება ;

აღნიშნული კვლევის შესახებ საჭიროა დაიგეგმოს შეხვედრა რესპოდენტებთან და მოხდეს მათი ინტერვიუება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური